

კვარი ვაზისა



გაიროდის ყოველ კვირას
ღირს მ. მ. წ. ც. № 10 კაპ.

რედაქცია „კვარი ვაზისა“
კათოლიკეების ქუჩა № 4

ზინაარსი

ქრისტიანობა და მუსათა კითხვა. — სურათები: 1) იესოს ბული, 2) კელით გვირგვინოსანი იესო. — ქართველ კათოლიკეთათვის ეპარქიის გახსნა საქართველოში ქ. ტფილისში. — საგრძნობელი შეცდომა საქართველოს კეპლესის ავტოკეფალიის კითხვაში. — ახალი ამბავი. მიქაელ თამარიშვილი (სურათი). — გაბრიელ ეპისკოპოსის მიწერა-მოწერა. — საზოგადო მიმოხილვა. — საქართველოს სამღვდლოება და რუსის ეგზარხოსები. ჯავახეთი (ეთნოგრაფიული წერილები).

ქრისტიანობა და მუსათა კითხვა

სახარება აფუძნებს მართლ და კეშმარტს სივლითაცია. რომელიც ჰგიებს კაცის თვით ცნობიერებაში და თავისუფლად მოქმედებაში. ხალხთა თავისუფლება პირველად აღიარებული

იქმნა თვით ქრისტესაგან — ნუ იქმნებთ კაცთა მონა... სდევით თავისუფლებინა ზინა, რომელიც მოგანიკათ ქრისტემ, ესე იგი რაც ქრისტეს სჯულს ეწინააღმდეგება ქრისტიანმა არ უნდა აასრულოს. სახარება აფუძნებს ადამიანის გულში საძირკველს. ესე იგი ეამიერი ქონების უარის თქმას. მასში ათვისლებს კაცთა სიყვარულს, მოყვასის სიყვარულს, თავის თავის გაწირვას ძმათა სამსახურის მისაგებად, ბოროტება უნდა ამოფხვრილი იყოს ვიდრე ფიქრშიაც, ესე იგი კაცმა არ იკადროს ბოროტების ჩადენა. არ მოისურვოს იგი და სახარება სახლ — ოჯახობის საფუძვლიად ხლის სიწმიდებზე მორწმუნეობის, ერთობა ქორწინების დაურღვევლობას.

შეუღლებულთა უმწიკლო მორწმუნეობა.



ზედ მშობლების და უფროსების პასუხის გებლობაზედ. — თავისუფალი მორჩილება, შეილთა და მსახურთა, სახარება ამყარებს, აფუძნებს, ყველა ნაციონალურ ეროვნულ განწყობების არსებობას, ლეთაებრივ საზოგადოებისადმი მინიჭებულ უფლებაზედ. სახარება ანიჭებს უზენაეს უფლებასა, რომელიც არაერთარ მარტივ ერის წარმომადგენელთ არ მოეპოვების.

მასთანავე აგონებს უფლებათა მექონე პირთა, რომ ყოველ რამეში ზომიერება იქონიონ და პასუხი აგონ მათგან მოქმედებულ საქმეებზედ.

სახარება ანასაზღვრავს შეძლებათა მაშინ როდესაც კაცთ თავიანთ ვალდებულებების აღსრულებას ავალებს. სახარება თავის სწავლასა და ბრძანებას უმატებს ზეშთა ბუნებრივ მადლის, რომელიც მზისებრ დიდის შარავანდით მოეფინების კაცთა და გამოიხატების გარეგნობით კაცთ მოყვარებაში.

რასაკვირველია ქრისტიანობაზედ უწინარეს ჰგიებდა ქვეყანაზედ სხვა და სხვა სარწმუნოებანი. მაგრამ რაც დიდად თვალთა მომზიბლავი ყოფილიყო იმ დროს ის რწმენა მაინც დღეს უყურებთ მათში დიდ ნაკლს. მაშინდელ დროს ეროვნებაში ვერ ამოვაჩენთ მაინც კაცობრიობის ერთ მესამედ აღამიანთა თავისუფალთა, არც ის ძმობა იყო მათში; არც ერთობა არც გულმონწყალეობა და შებრალება და ვარდნილთა და უძლოურ — მოხუცებულთათვის, რომელიც სახარების ძალით წამოიშობა ქრისტიანე ერში. ყოველ ეპოს მოძრევი მორეულს ჩაგრავდა და ემა პირუტყვად ითვლებოდა მოძრევის კარზედ. სათნოება კაცთა განმავითარებელი სახარებისა აღვიძებს იმ ს, ზოგადობაში. რომელი საზოგადოება უარს ამბობს სახარების რწმენაზედ. დეე ზურგი მიუშვირონ სახარების განმანათლებელ სხივებს, მაგრამ ნათელი ყველასათვის მარგებელია.

ქრისტიანულმა იდეამა დაიბუნაგა ჩვენსულში. ზნე-ჩვეულება გარდაავარეს, ჩვენი ნება ასე, როგორც ჩვენი მამა პაპათა სისხლი შეიქმნა ჩვენი ხორცად, ვგრეთვე სახარება შეიქმნა ჩვენი ცხოვრების კანონი.
 აქ ზეშთა მოყვანილ აღიარებას ბევრმა შეაქტა პირი და გაიყოლა თავისი ნატურა

მატერიალურ ცხოვრების ინტერესებს. აი სწორედ ამან აიძულა კათოლიკეთა პაპი ლეონ XIII და თავის წერილში „de conditione officium“, რომელიც 1891 წ. 15 მაისს გამოსცა.

პაპი თავისი საყოველთაო მამობრივი ავტორიტეტით მდიდრებს და მუშათა პატრონებს ურჩევს „მუშებს მონებად ნუ ისახავთ და მონებსავეით ნუ ექცევით“. მათი პირადი ღირსება თქვენთვის ძვირფასი უნდა იყოს. შრომა და ხელობა მათ არ ამცირებს, პირიქით ყველა, ვინც გონებრივად და ქრისტიანულად მსჯელობს, უთუოდ იტყვის, რომ სასახელოა საკუთარი შრომით ლუკმა-პურის შოვნა და ცხოვრება. სირცხვილია სხვისი გაყვლეფა და მცირე ქირის შიკემა, ვიდრე ნამდვილად ღირს მათი სამუშაო ძალა. უსამართლობაა მუშებისთვის ნამეტანი საქმის დაკისრება, ვიდრე მათ ძალას ატანა შეუძლია, ან ისეთისა, რომელიც მის სქესს ანუ წლოვანებას არ შეეფერება. დმერთის წინააღმდეგობაა სხვის სიღარიბით სარგებლობა, ცოდვაა მუშათა ქირის შერჩენა საკიროთა პირიქით, მუშათა მოძრაობის ხელის შეწყობა.

პაპი ლეონ XIII თხოულობს სოციალ — პოლიტიკური კითხვები მალე გადაწყდეს და ასახელებს შემდეგს რეფორმებს: გამოიციეს მუშათა მფარველი კანონდებლობა. პატრონმა არ დაჩაგროს მუშა და არ გაყლიფოს იგი. მთავრობა საქმეში უნდა ჩაერიოს, მაგრამ ამ გარევეს თავისი საზღვარი უნდა ჰქონდეს.

დღიური შრომა არ უნდა ასუსტებდეს ადამიანს. სადაც საქმე ძნელია იქ მოსვენება გრძალი უნდა იყოს. ზოგიერთ საქმეს ქალი და ბავშვი ვერ აიტანს; დიდი ყურადღება უნდა მიექციოს ბავშვების შრომას. ზოგიერთი საქმე არ შეეფერება ქალებს რომლებიც პაპის აზრით განსაკუთრებით შინაურ მეოჯახობას უნდა მისდევდნენ. სადაც შრომა უფრო ძნელია, იქ სამუშაო დრო-მოკლე უნდა იყოს, მაგრამ მეორე მხრივ არის ზოგიერთი ისეთი საქმე, რომელიც უფრო გამუდმებულ შრომას მოითხოვს. შრომის რაოდენობა ისეთი უნდა იყოს, რომ მუშამ შეიძლოს მუშაობაზედ დახარჯული ძალის აღდგენა. ყოველი ის შეთანხმება.

რომელიც პატრონს მუშასთან ექმნება და რომელიც აღნიშნულ პირობებს ეწინააღმდეგება, უკანონოდ უნდა ითვლებოდეს.

შემდეგში მოვიყვანთ ყველა შრომას რაც პაპი ლეონ XIII მიიღო მუშათა კითხვაში და მუშათა საზოგადოების განსანვითარებლად რა წყაროებს უჩვენებს მთელ ქვეყნიერ მთავრობას, რომ კაცობრიობა არ იყოს დაბრკელებული რომელიმე მცირე რიცხვისაგან, ხალხის ექსპლოატორებისაგან.

ქართველ კათოლიკეთათვის მარქის განხილვა საქართველოში, ა. ბვილისში
(შემდეგი მხ. № 10)

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, რადგან ტფილისის საეპისკოპოსო ექვემდებარებოდა სპარსეთში არსებულ სულთანის არქიეპისკოპოსოს, ამიტომ პაპი იმავე დროს სულთანის არქიეპისკოპოსსაც სწერს, აუწყებს ტფილისში ახალის ეპისკოპოსის დანიშვნას; სთხოვს რაოდენათაუც თქვენი სამიტროპოლიტო უფლე-



ესის გული.

ბანების მოქცევის, ურადღება მიიპყროთ ტფილისის ეპისკოპოსსა და მის ეპარქიასაო; ვბრეთვე სთხოვს, ყველა ნაირი შეშწეობა აღმოუჩინოს, რათა სიადვილით და ნაყოფიერად მართოს ეკლესია და მისი ერი.
ბერთრანდო კოლეტის ეპისკოპოსობამ ტფილისში შეიღწეოს წლის მეტი გასტანა. ჩვენთვის

სრულიათ უცნობელი მიზეზების გამო პაპმა ინოჩენციო მეექვსემ იგი გამოსცვალა და გერმანიას ამპურიენის ეკლესიის ეპისკოპოსად გადაიყვანა; ხოლო მის ადგილს ტფილისში 1356 წ. დანიშნა ეპისკოპოსად ბერთრანდო მინიკიანი ამ წერილით:

„პაპი ინოჩენციო VI. პატივცემულ ძმას ბერთრანდოს ტფილისის ეპისკოპოსს, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. მწყემსებრივი-



ველით გვირგვინოსანი იესო.

მოვალეობა, რომელიც ღვთის განგებით მივიღეთ, გვაიძულებს გულმოდგინებით ეფიქროთ ყველა ეკლესიებისათვის, რომელთათვის მსოფლიო ზრუნვა მონდებილი გვაქვს და მეტადრე იმ ეკლესიებისათვის, რომელთაც აღარა ჰყავთ მწყემსი, რათა მათზე მწყემსად დადგენილ იქმნენ ერთგულნი პირნი, რომელთაც შეეძლოსთ და იცოდნენ მათი საუკეთესოდ მართვა სასულიეროს, თუ სახორციელის მხრით. ამ უკამასკნელ დროში ტფილისის ეკლესიას მოაკლდა მწყემსი, რადგან ჩვენის ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის სრულის უფლებით პატივცემული ჩვენი ძმა ბერთრანდო განუათავისუფლეთ იმ მოვალეობისაგან, რომელიც აკავშირებდა ტფილისის ეკლესიასთან, როგორც მის ეპისკოპოსს სამოციქულო საყდრის ბრძანებით დადგენილსა; მასთანვე საკიროთ შევრაცხეთ და გადავიყვანეთ იგი ამპურიენის ეკ-

კლესიის ეპისკოპოსად, რადგან იმ ეკლესიის აღარ ჰყავდა საკუთარი ეპისკოპოსი. სანამ ტფილისის ეკლესიის მოაკლდებოდა მწვემსი, საჭიროდ დაინახეთ და წინათვე დაუდგინეთ, როდესაც მოაკლდებოდა, ჩვენს გარდა იქ არავის დაენიშნა მწვემსი; მსგავსათვე ვჰყავით სხვა კათედრალთათვის და განვაწესეთ, რომ უჯერო ყოფილიყო, უკეთუ ვინმე რაგინდ შეძლების მქონე პირიც ყოფილიყო იგი, ამის შესახებ რასმე დაადგენდა ცნობით, ანუ უმეცრებით. ჩვენი მამობრივი ზრუნველობა იძულებულ გვყოფს, დიდ ხანს არ დავტოვოთ ტფილისის ეკლესია მწუხარე და მწუხს მოკლებული. შემდგომ ჩვენ ძმებთან კარგათ მოლაპარაკებისა და გამოძიებისა ტფილისის ეკლესიისათვის კარგისა და სასარგებლო პირის დანიშვნის შესახებ, ჩვენი ყურადღება მოგაქციეთ თქვენ, დომინიკიანების წესის მღვდელ-მონაზონს, გამსკვალულს სარწმუნოების წადიერებით, მეცნიერებაში განსწავნულს, სასულიერო საგნებში ცხოვრებით პატიოსანს, სახორციელო საქმეებში შორ მკრეტელს და შემკულს სხვა ღირსებათა და სათნოებათა მიერ, როგორათაც დაგვარწმუნეს. შემდგომ ყველაფრის კარგად გამოძიებისა და დაფიქრებისა, აგრეთვე ჩვენი ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის სრულის უფლებით დაგნიშნეთ და გაგამწესეთ ტფილისის ეკლესიის ეპისკოპოსად და მწვემსად და გაბარებთ იმავე ეკლესიის სრულ მართველობის უფლებას, როგორც სასულიერო, ისე სახორციელო საქმეებში. მასთანვე დაუდგინეთ, ჩვენმა პატივცემულმა ძმამ გვიდონმა პორტრუენსის ეპისკოპოსმა გცხოსთ ეპისკოპოსად რომაში. ვსასოებთ უფლისადმი, რომელიც თავის მოსაეთ ანიკებს ყოველ მადლსა და სასიოდესს, იმავე ტფილისის ეკლესიის თქვენის ფიზიკის მოკადინეობით, წინამძღობით, ვგრეთვე თქვენის კეთილის მართველობით გაუძღვეთ სასარგებლოდ და ნაყოფიერად ღვთის შეწევნით, რაისგამო ამ მოციქულებრივის წერილით გიბრძანებთ, ჩვენის ლოცვა-კურთხევით წახვიდეთ სხენებულ ტფილისის ეკლესიაში, იქისროთ მისთვის ზრუნვა. პართით ვუღმოდგინებთ, მოწმუნებით და სიბრძნით, რათა ტფილისის ეკლესიამ გა-

ნიხაროს, რომ ჩაჰბარდა იგი წინდახედულ მმართველს და ერთგულ მოღვაწეს. ასეთის მოქცევით, გარდა საუკუნო სასიოდის, ღირსი გახდებით ჩვენი უხვი პატივისცემისაც. ვილმონით ავინიონის ეპრქიაში 12 აპრილს, ჩვენი მღვდელთ მთავრობის მეოხე წელსა (1356) - როგორც ზემოდ სხენებულმა კლემენტო მეექვსემ, ისე ინოჩემციო მეექვსემ, იმ წერილის გარდა, ერთსა და იმავე დროს ოთხი წიგნი სხვა მისწერა ტფილისის კაპიტულოსს, სამღვდელოებას, ერს და სულთანის არქივისკოპოსს; რომლებსაც დაავედრა თხოვა და სთხოვა ბერთამო ტფილისის ეპისკოპოსი კარგად მიეღოთ და ყოველგვარი პატივი დამორჩილება გამოეცხადებინათ. რადგან ის წერილები ბევრად არ განსხვავდება სხენებული კლემენტო VI წერილებისაგან, არც ერთი მათგანი მოგყავს აქ.

თუმცა ტფილისის ეპარქია ჩაჰბარდა დომინიკიანებსა, რომლებიც ხშირად და ბლომად მოდიოდენ ევროპადგან საქართველოს, მაგრამ მათთან ფრანჩისკიანები (მინორიტები) არა ნაკლებ იყვნენ და შრომობდენ ქართველებში კათოლიკობის გასაერცვლებლად, ამიტომ ხშირად მათი გუნდიც მოდიოდა ჩვენკენ. მაგალითად: პაპმა ურბანო მეხუთემ 1370 წ. გამოგზავნა ანტონ მილერვიტანელი ეპისკოპოსი 2-ს სხვა თავისი წესის მონაზონითურთ. ზოგიერთი იმათგანი უნდა წასულიყო საქართველოს ახლო ქვეყნებშიაც, მაგრამ მომეტებული ნაწილი აქ დარჩა. ის წერილი, რომლითაც პაპი უბრძანებს მათ საქართველოში წამოსვლას, იწყება ესე: „უფლის ვენახი შესამუშავებლად საქართველოში“.

არც საქართველო ასცდა ზედ გავლენას და სამწუხარო შედეგს დასავლეთის იმ დიდის სიზმისახ (გაყრილობისა), რომელმაც გასტანა 1378-დგან ვიდრე 1449 წლამდე, და რომელიც შეადგენს რომის საეკლესიო ისტორიის სამწუხარო ნაწილს. დასავლეთის გაყრილობაში ხშირად ერთი პაპის ნაცვლად ორი და სამი პაპი ერთსა და იმავე დროს იყვნენ და ყველანი სცილობდენ ერთმანეთის დამცირებასა და დამზობას, ხოლო თავიანთ მომხრეთა გამრავლებას. ამ აწეწილდაწეწილ დროს

ბერთრამო, ტფილისში ეპისკოპოსად დანიშნული 1356 წელს, ემხრობოდა უბრალო მეექვსეს, კანონიერ პაპს. რა ეს სცნო ანტი პაპმა (ტყვილ-პაპმა) კლემენტო მეზვიდელ წოდებულმა, რომელიც საფრანგეთის მთავრობის შემწეობით, უბრანო პაპზე უფრო ძლიერი იყო, გამოსცვალა ბერთრამო ტფილისის კანონიერი ეპისკოპოსი და მის ადგილს დანიშნა ეპისკოპოსად თავისი მომხრე ჰენრიკო რაცი ფრანკისკიანების წესისა. თავისი სურვილის ასრულება მოინდომა თავის დელეგატს კარდინალ გვილელმოს შემდეგს წერილით: -ჩვენს საყვარელს შვილს გვილელმოს, ჩელიომონთის წმიდა სტეფანეს ტიტულის მღვდელ-კარდინალს, სამოციქულო საყდრის დელეგატს, მშვიდობა... ხოლო ამ უკანასკნელ დროს ჩვენ ურამდე მოახწია, რომ დომნიკიანს წესის მონაზონი ბერთრამო ტფილისის ეპისკოპოსი, მიმხრობია იმ ბოროტს ბართლომეს (ურბანო მეექვსეს, კანონიერ პაპს) უწინდელ ბაენის არქიეპისკოპოსს, უკანონოდ ასულსა სამოციქულო საყდარსა; ამისგამო იგი ბერთრამო შეიქმნა უიარისი... ჩვენის სამოციქულო უფლებებით თქვენს სიბრძნეს ვანდობს და გიბრძანებთ, უკეთუ ბერთრამოს კვალად შენიშნეთ, ბართლომე უზურპატორის მომხრეობა, ტფილისის ეკლესიას მოაშროთ; იმავე მონიჭებული უფლების მართლმსაჯულებით ჩამოართვათ ყოველი სიმათლეთ, რაც იმ ეკლესიაში აქვს და სრულებით განაძევეთ იქიდან, როგორათაც მოითხოვდეს კანონი; გარნა ხსენებული ტფილისის ეკლესიისათვის... ჩვენის უფლების ძალით იბრუნეთ და ჰენრიკო რაცი, მინორიტების ორდენისა იმავე ეკლესიას დაუდგინეთ ეპისკოპოსად და მწყემსად; ჩააბარეთ სრულებით იმისივე ზრუნვა, მართვა და მოვლა თუ სასულიერო და სახორციელო საქმეში; მასთანავე ეცადეთ, ყველა ქვეშევრდომნი და ყვანი დაემორჩილონ მას და მიავონ ღირსებული პატივი; განაშორეთ იქიდან ხსენებული ბერთრამო და სხვა ყველა უკანონოდ ხელის უფლების მქონე; ამ ბრძანების შესრულების დროს თუ ვინმე გაგიჩნდენ მოწინააღმდეგენი დასაჯერ საეკლესიო ცენზურით (შეჩვენების სასჯელით) გაუსაჩივრებლათ... მოკემული ავი-

ნონს. I აპრილს, მეოთხე წელსა 1382⁴.
წერილის დანარჩენ ნაწილში მოხსენებულია, რომ თუ ტფილისის კაპიტულოს რამე პრივილეგია აქვს მოპოვებული სამოციქულო საყდრისაგან, რომლის ძალითაც მათი შეშვენება არ შეიძლებოდეს, ყურადღება ნუ მიექცევა, თუ ეს გარემოება ცხადთ არის გამოცხადებული. ეგრეთვე მოხსენებულია რომ ჰენრიკო ეკურთხოს ეპისკოპოსად ორი, თუ სამი კათოლიკე ეპისკოპოსისაგან და ერთგულების ფიცი მისცეს სამოციქულო საყდარსაო.
თუ როგორ მოხდა ეპისკოპოსების დაცვლა-გამოცვლა, ანუ რა შედეგი მოჰყვა არ ვიცით, რადგან ამ საბუთს გარდა სხვა არაფერი გვაქვს. ხოლო, როგორც შემდეგი საბუთებისაგან სჩანს, ხსენებული ბერთრამო, ტფილისიდან გადაყენებული ეპისკოპოსი, ისევ მობრუნებულა და ტფილისის ეპისკოპოსობაში დაუსულებია თავისი ცხოვრება, საქართველოში 35 წლის ეპისკოპოსობის შემდეგ, რადგან ტფილისის ეპისკოპოსად დაინიშნა 1356 წ. და გარდაიცვალა 1391 წ.
იმის სიკვდილის შემდგომ პაპმა ბონიფაცი მეცხრემ, 1391 წ. ტფილისის ეპისკოპოსად დაინიშნა დომნიკიანი ლეონარდო ვილაკოელი. მკითხველს თავი რომ არ მოვაბეზროთ, წერილის შინაარს მოკლედ მოვიყვანთ უტექსტო, ის წერილიც ბევრად არ განსხვავდება ზემოთ დასახელებული პაპების წიგნებისაგან. წერილში პაპი, სხვათა შორის, -სწერს ლეონარდო ვილაკოელს: ეხლა შევიტყუეთ, რომ ტფილისის ეპისკოპოსის ბერთრამოს გარდაცვალებით ის ეკლესია დარჩენილა უმწყემსოდ. იმავე ეკლესიის სანუგეზოდ გადავწყვიტეთ, რომ სასწრაფოთ საუკეთესო ეპისკოპოსი დაედგინოს, რათა არავითარი ენება მიეცეს ღირსიანს უეპისკოპოსოდ დარჩენით. რადგან ეცნობთ თქვენს ღირსებას, ნიქს, გულმოდგინებას, ცხოვრების სიწმინდეს და ყველაფერში გნმოდებლობას, ჩვენი ძმების რჩევით და ჩვენის სრულის უფლებით, აღვირჩიეთ და დაგინიშნეთ ტფილისის ეპისკოპოსად; გვნებეს, ამ წერილს მიიღებთ თუ არა, რაც შეიძლება და უკონებლივ წახვიდეთ ტფილისს და მართოდ იქაური ეკლესია. იმედი გვაქვს, თქვენს სიბ-

რძნით, წინდახედულობით და ერთგული მზრუნველობით კარგად და სასარგებოდ წარმართოთ და აღაორძინოთ თქვენზედ მონდობილი ტფილისის ეპკლესია.

ეს საბუთები ნათლათ გვიჩვენებს, რომ გიორგი ბრწყინალის შემდეგს მეფეებსაც თავისუფლება მიუციათ ლათინის მისიონერებისათვის კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად საქართველოში. იმ მეფეთა წყალობით ყოფილა, რომ XIV საუკუნოში ტფილისის კათოლიკების ეკლესიას არ მოჰკლებია თავისი საკუთარი ეპისკოპოსები, რომლების ზრუნვითაც კათოლიკე სარწმუნოება საქართველოში ბევრს იძენდა და თავისი იერარქიული მოწყობილებით ტფილისის ლათინის ეკლესია ებადებოდა და უთანასწორდებოდა ევროპის საეპისკოპოსო ეკლესიებს.

ჩვენამდე მოწვენილის მცირე სიბუთებისაგან ნათლად სჩანს რომ შემოსხენებულ ხუთს ტფილისის ლათინის ეპისკოპოსს, თავიანთი ევროპელი თანამგებითურთ, ბევრი უშრომიათ საქართველოში, მათი შრომა უნაყოფო არ დარჩენილა და შრომა უმთავრესად ქართველებისათვის ყოფილა გაწეული. იმ ქართველებთანგან მიუღიათ კათოლიკობა არა მარტო ერს, არამედ ბევრს მის მღვდლებსაც ასე, რომ შეუდგენიათ ცალკე ტფილისისა და მის ეპარქიისათვის სამღვდლოება, რომლის რიცხვიც პაპებმს უკრადლებას იქცევა და მათგან ცალკე წერილებიც მოსდიოდათ.

თუმცა ჩვენამდე არ მოუწვია დაწერილებით ცნობებს იმის შესახებ, თუ ლათინის მისიონერებს როგორი განწყობილება ჰქონდათ საქართველოს მეფეებთან და საღვთოებთან XIV საუკუნოში, გარნა ვფიქრობთ, რომ ეპარქიის, დაახლოება და გაფლენა არა ნაკლები უნდა ჰქონდათ ვიდრე XVII და XVIII საუკუნეთა მისიონერ კათოლიკებსა ჰქონდათ. ესევე დარწმუნებულნი უნდა ვიყენეთ, უკეთეს არ დავაიწყებთ, რომ ლომინიკიანების და ფრანკიკიანების ორდენები (მონაზონებრივი მათა წესები) სწავლა-განათლებით ბევრად მეტად ღვანან კათოლიკების ორდენზე; ამიტომ მათში უფრო ბევრნი იყვნენ მღვდლები და ღვანან განათლებულნი, რომე-

ლთა ბრძნული რჩევა უნაყოფოდ არ უნდა დარჩენილიყო ჩვენის მეფეებისა და მთავრებისათვის. (გასაგრძობა)

საზრუნველი უმცროსი საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის კითხვაში.

ბევრი წერალები და გამოკვლევანი დაიბეჭდა ამ უკანასკნელ დროს რუსულ-ქართულ გოცემებში საქართველოს ეკლესიას ევტოკრატის შესახებ და, როგორც ეტყობა, უფრო მეტად მთავრად უნდა გაქონდეს კიდევ მომავალში. ამ წერალების შესახებთ თათქიას უოველ მხრავ გამოარკვე და ცხად შეიქნა ჩვენთვის აღნიშნული საკითხი, რომელიც, სიმართლე უნდა ვთქვათ, დღევანდელდღე ხშირა სიბუნელით იყო ეკლესიის გარემოცული. დღეს ბევრისთვის აღარაფერ სჯეჯოს და სწავლობელს არ წარმოადგენს დასმული კითხვა ისტორიულ-განხიერა მხრათ.

მაგრამ, ეკლესიისათვის, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ (ზოგაერთ ამ წერალებთანგანში გაცნობილია ერთა მეტად სავრძინოებელი შეცდომა, რომელიც, თუ ესევე არ ჩამოვყავდეთ ამ საკითხებს, ბოლოს ძალიან სისინხლოდ და ცხვიარში სავრძინოდ დაგვრჩება. ზარკვლად ეს შეცდომა გამოხატავს საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმაში. გეგმაში აღკარად და გამოვლად და ნათქვამა, რომ საქართველოს ქათალიქიას ეკლესიისათვის მართავ-გამტეობა უნდა შეეხებოდეს მხოლოდ ქართველი მადგმის მართავ-დადგეულ ერებს, ქართველი ქათალიქიას იურისდიქცია უნდა სავრძინოდ იქმნას მარტო-დენ თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ეპარქიების, სოხუმის, ყარსის და ზაქათალის ოლქების მკვადრ მორწმუნე ქართველთათვისა. თათქმის ამევე ამჟორის ი. ნატომედაც თავის წერალებში, რომელიც დაბეჭდალია ამ წლის „სსრულიერო მოამბის“ № 8-ში. ი. ნატომედაც სავრძინოდ მიაჩნია, რომ ამარ ეკლესიაში (ზაქათალი) მგსორეს მორწმუნე რუსებს ჰევედეთ უქმანდესა სანოდის განკარგულების ქვეშე მყოფი, ე. ი. ქათალიქიასკენ დაშოკადეულია. ეპისკოპოსი ბანადროსათ ბქომა ან ვლადიკავკასიაში (ამ სკვრად გამოვლად, რომ საქართველოს ეკლესიას სავრძინოდ ანუ სხეული უნდა განასხვურებოდეს გარემოება-

იწერებოდა და ფარგალ მოსმულ იქმნეს მარტო ქართველი ტომის ერებით.)

ჩვენ ვერ გავიგია, რა მოსახრებამ მიიყვანა კავშირის შემდგენელები, ან ბ. ხატროშაილი ამ უცნაურ აზრამდე, რომელი სანუთნობის ძალით მსჯელობენ იგინი ასე თავისებურად? როგორც აზრადეს არ უოფილად ჩვენებრობაზე სემეფო, შემდგარი მარტოდ-მარტო ერთი მოდგმის მკვადრთაგან, ასე არავის სმენია ვეტოკეფულური ეკლესიის ერთი ჩამომავლობის სემწესის შემდგენელობით. (საქრისტიანო ეკლესიის წარსულმა ისტორიამ არ იცის მტკალობა, რომ სდამე ვეტოკეფულური ეკლესიის მრეული ან სემწემისო გვარტომობით, ჩამომავლობით, მდგომით არ უოფილათ ფერადი, ხარხარი და სხვადასხვა გვარა.) მამ რა სანუთა აქვთ, რომ საქართველოს ქათალიკოზის სემწესის ბავში მარტო ქართველებს ულავებთან? რის მომწავებელია, რომ სწინდილე სორბდასევათ თითათ არჩევენ ეკლესიის მკვადრთაგან მარტო ქართველებს, ქართული ეკლესიის სემწესად? მათ უფრო სავითისა და გასაგარდა ეს ჩვენთვის, რომ წარსულში, ქართველი მოდგმის მრებთან ერთად, საქართველოს ქათალიკოზის ბურასდიქციას ქვეშ იმეფებოდნენ ავრეთაე ისემა, უდინებო, საქართველოში დანსლავებულა ბერძნებო და სხვებო, რომლებსაც არავითარი ჩამომავლობათა ხათესობა არა ჰქონდათ ქართველებთან? ან არა და რომელი მოდგმითა ერთობა აკავშირეთ ველიკორასისა და მონათლულ ვოტიკის, მართლმადიდებელ ლატინს და მალორასის, რომ ველახი თვლებთან რუსების ეკლესიის სემწესად?

არა, (ეკლესიურმა კანონავამ არ იცის ვეტოკეფულური ეკლესიების სემწესათა შედგენა ერთუნების მახედეათ. ერთი და იგივე ადგილობრივი ეკლესია უოფილად და არას მშობელი დედა დედალობრივ მორწმუნეთათვის განურჩევლად მათი ჩამომავლობისა; ეკლესია ერთობის, ურ-ეოფის და დინათლულად სოვლის, როდესაც მათი სემწესის სხედურებენ ერთუნებოთ ხათესობის მახედეათ. სხედურებენ ჩამომავლობათ ერთობათ, მოდგმურა ეკლესიით. ესეთი მოძღვრება ცნობილია ფალეტოზშია. ესეთი მოძღვრება თვლებთან სხათმტკამედ და მათა მამდევნის თვლებთან სხათმტკამედ ფალეტოზში არას განმეორება ვერაგულა არანგანას: divide A impera; და ავი სწორეთ

ამის გამო ორადე ხელით ებლაგებოდა ამ ბრინცაბს ცნობილი ვოსტროგოფი და დიდს გულმტკიო ვნელობას უჩენდა სვანთა, აფხაზთა, შგარელთა და მათა ეკლესიურ თვით გამორკვევას! ავი მას ეკლად მიაჩნდა ამ ერთა შორის ეკლესიურა სოლიდარობა და სანწმუნებოროვი კავშირა!

რასავგრელია, ჩვენ ვერ დავსწამებთ ვერც ბ. ხატროშაილს და ვერც კავშირის შემდგენელებს ფალეტოზის მომხრეობას, აქნება მათ ეს სიტყვა სულაც არ გახსენებიათ, როდესაც საქართველოს ეკლესიის ვეტოკეფულურ წეს-წეობილებზედ ბლობინენ, მაგრამ თუ მათ მათე ნახვენებ გზას დავდექათ, თუ მათი აზრი მთავილეთ. (თუ საქართველოს ეკლესიის სემწესად მარტო ქართველი მოდგმის ერებო ჩავთვალეთ ფალეტოზის ვერსად ვერ წავლათ; მამინ ფალეტოზში უოველი მხრით შეგებობაში, მამინ ჩვენი ეკლესია უნდა აუფილებლად შესუსტდეს დაიბნეს მტარ-მტარა ნწილავებად დაქუცმაცდეს დანამცეცდეს; მათი სხეულს უნდა მათწადენ მოკვეთი-მოგელოჯონ მათთან შესისხლსორებულანი, შებრდილ-შედულებულნი ბუნებოროვიდ შეთავისებულნი წვერნი- ისემა, უდინებო, აფხაზებო, ბერძნებო და სხვებო; წინადადებო მოცაქულით კანონებისა, ჩვენი ეკლესიის გამგეს უნდა გვერდში ამოუდგეს მართლმადიდებელ რუხთა ეკლესიის დამოუკიდებელი უფროსი და მათ ახნოს ამ უფროსთა და მათ სემწესათა შორის მტკობობას, შურის და მტკობობის გაუქრობელი კანონი. ჩვენ მეზობლად შეთფი უნხო ეკლესიის გამგე ხომ მუდამ ამის ფიქრს და მეცადინებო- მა აქნება, რომ რამდენთაც შეეძლება, გაამრავლოს და გააძლიეროს თავისი სემწესო; მათი გულისა და გონების ლტოლვალება ხომ ის აქნება, რომ როცა უნდა აქმნეს, ხელით აგდოს და დაისკუთროს ჩვენი ტერიტორია.) განა ეს მცირედა საქმეა? განა მამჩვე ნაკადულავით არ მათევენ ჩვენებ კადმო-სახლების მსურველებს? განა ცოტა ვაწინებთ და ცოტა უნესეთ ამისი მგზავსა საქმეებო?

დავანებოთ ველად მათ თავი. ისტონ ხატროშაილის და კავშირის მოსახრება რომ მიადოს ჩვენში ეკლესიაში, ავი თავის თავად მოსწდებო მსოფლიო ეკლესიასთან ერთობას, ჩავარდნება ბოლკართა ვებდ ადებულა ეკლესიის უსურეს მდგომარეობაში და სემართლანად დამსახურებს სხათმტკამედ ეკლესიის სხედს. რა ერება მამინ

რადღაც ავტორიტეტისა? ავტორიტეტის ველტ-
ვით ხაკეთის შესატყვისად, და არა სხვათაგანად, კე-
კელესიას დასადგენად და არა დასარღვევად, სარწმუნო-
ბის განსაზღვრებლად და არა მის განსაქრო-
ბად, ძირითად ტესტირებად ამოსადგენად. ავტორიტე-
ტურ კანონების ველებზე ბირველად უნდა ამკობ-
დეს სრული და უფლებმსრავი მოძღვრებითა ზი-
რობა ანუ ერთობა მსოფლიო ეკლესიასთან, შერე-
მას უნდა შეხედეს სავსებით ტერრიტორია,
შემდეგ უნდა შეხედეს სავსებით სემპლს, შემ-
დეგ უნდა შეხედოს ტერრიტორიაზე მოსახლე ერთ მო-
სახლეს ხელისუფლების განხორციელებით მათა ერთე-
ნული მოდერნიზაცია და ბოლოს უნდა მარაგდეს მი-
სა იულის ათვისებული გამტარებისა ჩანებუ-
ლი ეკლესიის განხორციელებისა. ასე გვესმის დასალო-
გებით ავტორიტეტისა, ესა, ჩვენა შესედელებით
არსებითა მინარსა ავტორიტეტისა; ამ მინარსი-
ბიდან მარჯვნივ მოძრაობა გვაქვს ჩვენ სხვაში,
როგო უსიხლოდითა ავტორიტეტისა.

ამისდა მიხედვით, (საქართველოს ეკლესიის
სემპლსად ქართველ მოდერნიზაციას ერთად და
და მათთან განუყოფლად უნდა იყვნენ აღიარებული-
ნი) რუსეთი, რომელნიც სტოპრებიან ავტორიტეტის
ეკლესიის ტერრიტორიაზე, ბ) გორისა და დუ-
შეთის მარჯვნივ იხილება, რომელთაც ძველად მწეს-
და ნაქოზელი, გ) საქართველოში დასახლებული
ბერძენები, რომელნიც შეადგენენ ასტრალის ების-
კობის სემპლს, დ) უდაბნო — გამქვამი მდებ-
ლობის სემპლს, ე) თესვები და სხვა წყარო-
დანი ერთი, რომელთაც ასახლავს ჩვენს ტერრი-
ტორიაზე.

ქართული ეკლესიის ტერრიტორიაზე გამო-
ყვანილები და სიძლიერით შედგენი რუსული ების-
რქიანი, როგორც ამას სხარისის ბ. ხატოშვი-
ლი. აქვს სრული უფლებამოსილება და მათთან და-
დგენილების დარღვევა.

ა, სხვათა შორის, რა მკაცრად და სისტი-
კად უნდა იქნება ამ ეკლესიის მოდერნიზაციის კრება და
რა ნაბიჯებს განახლებას ადგენს მის გამო: — ნუ-
შეგან ღვთის მოყვარულ ებისკოპოსთაგანა მ-
კაცებს სხვათა სემპლს (ებისკოპოს) რომელი
პირველი იქნება და შემოთავს (წახუ) არა მის
ქვეშ და მათთან უთანხმოებას სუბრას მწიგნობ-
რთა ქვეშ განსწავლულ იუს: (ავტორიტეტის ეკლესიის
მარჯვნივ რუსეთის ეკლესიის სინოდის კ-

მკობის ქვეშ არ იყო, კარნა მოტყუებული იქნა
მისგან). არამედ, უკეთეს ვინმე მიიტყუა და სულ-
მწიგნობის მისსა ჰყო აძლეობით (სწორედ ასე მო-
ქმნა საქართველოს ეკლესიას სინოდი), კვლად
განხადესუფლებანი ავა (ასე უნდა იხილოს ეს
სინოდი), რათა არა განხორცა მამათა გარდახდენ,
არცა სხვისა შინა მდებლობისა სხვათა მსოფ-
ლიოთა: მთავრობის მოყვარობისა ანათს (ეკლესი-
ის მთლად დავაწვეული იქნა სინოდს), არცა წა-
რწმუნებდით ათვისებული: მცირედ-მცირედ (ვის
ასივს ჩვენა ათვისებული?), რომელი თვისითა
სახსლითა მოგვანიჭა ჩვენ ასეო ქრისტეშიან, გან-
მთავისუფლებულმან უფულა: განთამან!

ბიკონტი. დიონიზი.

ახალი ამბავი

ჩვენ მივიღეთ და მალე გავაცნობთ საზო-
გადებას პატრი ქრისტეფორე კასტელის მხა-
ტრობას საქართველოს სიძველეების შესახებ
ეს პატრი ქრისტეფორე თვითანელი ბერია სს-
ქართველოს მისიონერი, რომელიც ევროპიდან
მოვიდა საქართველოში და ქალაქ გორში იდ-
გომილა. 1632 წ. გორიდან გურიაში წავიდა
1634წ, ხოლო გურიიდან სამეგრელოში გადავი-
და 1640 წ. იმერეთის მეფემ ალექსანდრემ
სთხოვა დადიანს და მიიწვია სამეგრელოდამ
ქუთაისში 1646 პატრი ქრისტეფორე დადიანის
თხოვნით დაბრუნდა სამეგრელოში 1649 წ. ამ
პატრიმ საქართველოში დაჰყო 26 წელი. ქარ-
თული კარგა შესწავლა და დასწერა ორი წი-
გნი: „განზრახვა ქრისტეს ენებისათვის.“ მეორე
წიგნი „სიტუარფე საღვთოსიყვარულისა“ ბევრია
წაწარმოებით დანარჩენი მხატრობისა, რომელ-
საც ჩვენამდე მოუწვია. ფრიად შესანიშნი
არია:

- 1) ბიკონტის უდიდესი და უჩველესი ეკ-
ლესია წმიდა ანდრია მოციქულის შემდეგ
აღშენებული ღვთისა მშობლის სახელზედ.
- 2) გორის ციხე სპარსელებისგან აშენებუ-
ლი 29 დღის განმავლობაში 1633 წ.
- 3) მეგრელების სამღმთოს შეწირვა 1644წ
- 4) სამეგრელოში პატრების ბინა, სადაც
სწავლთა უფლიან და უფრს უგდებენ ავათ-
ყოფითა.



მიქელ თამარიშვილი.

5) ოზურგეთში პატრების ბინა. შეგრულე-
ბი, გურულეები, აფხაზები თავიანთ შვილებს
ჰყიდიან მაჰმადიანებზედ. პატრი ყველას რისხავს.

6) სამეგრელოში პატრების ბინა. — წმ.
გიორგის ეკლესია.

7) შესაქე დადიანი. გურიელი ქალბატონი.

8) დიდი მოურავი.

9) ქეთევან დედოფლას ძე თეიმურაზი 1632

10) თეიმურაზი და თავისი მეუღლე დე-
დოფალი.

11) თეიმურაზის მეუღლე ხვარაზანი (ვარ-
დის ფერა).

12) ნიკიფორე ირბახი, ანუ ნიკოლოზ ბერი

და სხვა ფრიად საინტერესო სურათნა რიცხვით
136 მეფენი დედოფალნი და გამოჩენილნი პირნი.

გაბრიელ ეპისკოპოსის მიწერ-მოწერა

გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი საქართველოს ექსარხოს
ვესევის მიმართ.

თქვენო მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობაე,
მოწყალეო მწყემს მთავარო!

თანახმად თქვენი მაღალ ყ-დ უსამღვდელო-
ესობის საიდუმლო მოწერილობისა 8 ამა აპ-
რილს № 1703, თფილისის და ქუთაისის სა-

№ ჯვარი ვაზისა № 10

სულიერო სასწავლების ზედამხედველების ამო-
რჩევის შესახებ და აღნიშნული კითხვის თა-
ბაზე ჩემი მოსაზრების და შეხედულების წარ-
მოდგენისა, მაქვს პატივი მოვახსენო თქვენ მა-
ლალ უღ უსამღვდელოესობას, რომ წინადა-
დება უფ. კერსკისა ამ საქმეზე, ჩემი პაზრით
და გულ-წრფელი შეხედულებით, არ უნდა
იქნას ცნობილი გონიერულად და მოწონების
ლირსად, შემდეგის მოსაზრებისა გამო :

1., როდესაც კითხვა არის აღძრული ვინ
უნდა დაიკიროს თანამდებობის და სამსახურის
ადგილი რომელიმე მხარეში, ამ შემთხვევაში
სიძარბო და კეთილ გონიერული დარბაის-
ლობა ითხოვს, რომ არ უნდა მოხდეს ეროვ-
ნული გარჩევა იმ პირებთა შორის, რომლებიც
ცდილობენ ადგილის დაქვრას. განსაკუთრე-
ბული ყურადღება უნდა მიექცეს, ამ შემთხვე-
ვაში, ადამიანის კეთილ ზნეობას, პატიოსნე-
ბას და ნიქს. განსაკუთრებით კი არ უნდა ვა-
ნირჩეოდნენ შთამომავლობით რუსები არა რუ-
სებისაგან. ამ წესს, როგორც მე ვიცი, მის-
დევს ჩვენი უმაღლესი მთავრობა და ყოველი-
ვე ამის წინააღმდეგი განკარგულებანი, უეჭვე-
ლად აღძრავს ადგილობრივ მცხოვრებთა და
ყოველივე პატიოსან ადამიანთა შორის მწუ-
ხარების გრძობას და დაუმსახურებელ შეურა-
ცყოფას.

2., როგორც რუსულ ლიტერატურებიდან,
აგრეთვე მთავრობის განკარგულებებიდან ჩანს,
რომ მთავრობა ცდილობს ადრე თუ გვიან
შეუკავშიროს და შეუერთოს სხვა ტომის ხალ-
ხი რუსეთის იმპერიას. შეერთებ-შეკავშირება,
განსაკუთრებით ქართველთა ერისა რუსეთთან,
დიდი ხანია ნებაყოფლობით, მშვიდობიანათ და
დაუბრუნებლათ უკვე მოხდა, მაშასადამე აღ-
ნიშნული საშუალება, თვალსაჩინოა, იქნება
ხელოვნური განკალკეება და განშორება ინ-
ტერესებისა გრძობისა ორ ერთა — რუსთა და
ადგილობრივ მცხოვრებთა შორის.

3., სამსახურში დანიშნის დროს რომე-
ლიმე პირისა უნდა მიღებულ იქნას მხედვე-
ლობაში, რასაკვირველია, უმეტეს ნაწილათ
სარგებლობა საქმისადმი და არა ეროვნება ამა
თუ იმ პირისა. ბუნება ისე რომ იყოს განწყო-
ბილი, რომ ყველა რუსები აღჭურვილი იყოს

პატიოსნებით, ცკუით და კეთილ-საიმედო თვი-
სებებით და ქართველთა შორის კი ამ თვი-
სების მქონე არ მოიპოვებოდეს, მაშინ კი,
განუკითხავად, სამსახურში, რასაკვირველია,
უნდა ინიშნებოდეს მხოლოდ რუსეთში; მა-
რამ გამოცდილებამ თვალსაჩინოთ გვაჩვენა,
რომ რუსებთან ერთათ ქართველებიც პატიოს-
ნად, კეთილ-სინდისიერად მსახურებდნენ და
ეხლაც მსახურებენ, მაშასადამე გადაყენება
ქართველებისა სამსახურიდან იქნება ვნების
მოტანა საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.
რაცა შეეხება განსაკუთრებით ქუთაისის სა-
სულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ად-
გილს, თუმცა ეს ადგილი წინათ ექირათ შთა-
მამავლობით რუსებს, მაგრამ არც ერთს მათგანს
არ მოუტანია იმდენი სარგებლობა, რაც მო-
უტანა განსვენებულმა კალანდარაშვილმა, ტო-
მით ქართველმა. მან ხსენებულ სასწავლებელ-
ში რუსული ენის სწავლების კარგ ნიადაგზე
დაყენებისთვის შეადგინა ჩინებული სახელმძღვ-
ნელო, რომლის საშუალებით მოსწავლენი შესა-
ნიშნავად ითვისებენ ამ ენას. თვალსაჩინო შრო-
მა და მოღვაწეობა როგორც განსვენებული
კალანდარაშვილისა, აგრეთვე მეორე სასული-
ერო სასწავლებლის ზედამხედველის გოგება-
შვილისა თვით განათლების მინისტრმა უკვე-
შევერდომილეს მოხსენებაში აღნიშნა ქება-ლი-
დებრთ.

4., ეხლა ხან მომხდარი შემთხვევა თფი-
ლისის სასულიერო სემინარიაში, რომელმაც
უეჭველია გამოიწვია აღნიშნული წინადადება
უფ. კერსკისა, არის ნაყოფი უტყინობისა;
ამ საქმეში პასუხის მგებელნი არიან მხოლოდ
ის პირნი, რომლებმაც მინდობილი აქვთ მოწა-
ფეების ზნეობის ბედ-იღბალი და რომლებიც
ზნეობრივად ეწოდებულნი არიან მულამ იზ-
რუნონ მოწაფეების კეთილ-დღეობაზე და სწა-
ვლა-განათლების კარგ ნიადაგს დაყენებაზე.
ისიც რომ წარმოვიდგინოთ, რომ ეს დანაშა-
ულობა ჩადენილი აქვთ მარტო ქართველებს,
მაშინაც არა თუ ზნეობრივი კუშმარტება, იქ-
ნება, რომ ზოგინათა უციუების მიზეზით დაი-
ტანჯონ და განიდევნონ უდანაშაულონი და
საქმისათვის გამოსადეგნი პირნი. თვით რუსე-
თში უფრო თვალსაჩინო და საშიში მოვლე-

ნანი ხდებიან, მაგრამ არასოდეს მთავრობას არ უფიქრნია ეკვის მიტანა და შევიწროება მთელი რუსეთის ერისა.

ნ., თუმცა აღგილობრივი მცხოვრებნი (ქართველები) იქნებიან დათხოვნილნი იმისთანა უმნიშვნელო და შედარებით არა თვალ-საჩინო ადგილებიდან, როგორც არის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ადგილი, მაშინ კი მთავრობამ უნდა მიჰმართოს სხვა საშუალებასაც: დახუროს მათთვის კარები ყველა უმაღლესი სასწავლებლებისა და ამის გამო, როგორც ამის აუცილებელი შედეგი უნდა დაიხუროს კავკასიის ყველა საშუალო სასწავლებლებიც, ვინაიდან რისთვის უნდა მიიღონ განათლება ქართველებმა, თუმცა იგინი არ იქნებიან მიღებულნი სამსახურში და მთავრობა იკვის თვლით დაუწყებს მათ ყურებას; ამ გვარი მოქმედება არ შეჰფერის დიდი რუსეთის თვით-მყრობელობას.

და ს., განზრახული საშუალება არ არის მთავრობისათვის ხელ-საყრელი და თვით ასრულებაც კი არ შეიძლება შემდეგის მიზეზების გამო: უმაღლესად დამტკიცებულის წესდების ძალით სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველებს ირჩევენ სამღვდლოების დეპუტატები. ადგილობრივი სამღვდლოება, რადგან არ ხედავს და არც იცნობს აკადემიაში კურს დამთავრებულ რუსებს, რასაკვირველია, ირჩევს ზედამხედველის ადგილზე აკადემიაში იმ კურს დამთავრებულს, რომელსაც იცნობს, ე. ი. ქართველებს, მაშასადამე ზედამხედველათ რუსი უნდა დაინიშნოს სამღვდლოების დეპუტატების დაუკითხავათ, ადმინისტრაციული წესით, რითაც შეცვლილი იქნება უმაღლესად დამტკიცებული კანონი. თვით ჩემ მიერ მიცემა კი წინადადებისა სამღვდლოების დეპუტატებისადმი, რომ მათ აირჩიონ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველათ შთამაშავლობით რუსი, ადრინც მათში მიუზხდარობას და ვოდებას; ხოლო თუ მათ აუტსნი მიზეზებს, ე. ი. თქვენი მაღალ უდ უსამღვდლოების საიდუმლო მოწერილობის შინაარსს, მაშინ კი მათ გონებაზე მოვახდენ სამძიმო შთაბეჭდილობას, ვინაიდან ყველა იგინი ნათლად მიხედება, რომ მთავრობა

უნდობლის თვლით უცქერის ადგილობრივ მცხოვრებთ.

საფუძვლისა გამო აღნიშნულის მოსაზრებისა, ჩემი ჰაზრით, უადგილო იქნება მოყვანა სისრულეში უფ. კერსკის წინადადებისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესახებ. ნაცვლად აღნიშნული წინადადების სისრულეში მოყვანისა, ყოველი ღონისძიება უნდა იქნას მიღებული იმის შესახებ, რომ ქუთაისში დაარსებულ იქმნას სასულიერო სემენარია. თუ ქ. ქუთაისში დაარსდება სემენარია, მაშინ თვით ბუნებრივად აქ მოსამსახურე პირები იქნებიან ტომით რუსები, თუ ყველანი არა, ყოველ შემთხვევაში, უმეტესი ნაწილი. მაშინ კი ადგილობრივი სამღვდლოება ძალდაუტანებლათ და არა იძულებით გაეცნობიან აკადემიაში სწავლა დამთავრებულ რუსებს და ნებაყოფლობით მათ შორის აირჩევენ ზედამხედველს.

უმორჩილესად ვთხოვ თვენ მაღალ უდ უსამღვდლოებსობას თვით ეს ჩემი მოხსენება, ან ამის პირი გაუგზავნოთ განათლების მინისტრს, თუ თქვენი მხრით ამაზე არ დაინახათ რაიმე დაბრკოლებას.

გაბრიელ, ეპისკოპოსი იმერეთისა.

25 აპრილი 1874 წ. № 505.

(გახაგრბობია).

სასოცადა მიმოხილვა

რუსეთისა. — ლიბერალური გაზეთებიც აღიარებენ აწმყო სამინისტროს მოკლე ხანში დარღვევას.

◆ ხმა სიკვდილით დასჯას შესახებ გაერცვლებულია, რომ ამ მოკლე ხანში სიკვდილით დასჯა სრულიად მოისპობა.

◆ ბელისტოკში პროცესის დროს აღექსანდროვისკის და ინსტიტუტ-ს კუთხეში რამდენჯერმე ესროლეს მლოცავთა ხალხს, მოკლეს 3 ქალი 2 ბავშვი. სამიღვდლო სროლაა სამხედრო წესებია შემოღებული; ამბობენ ბევრია დაქერილ-დახოცილი.

◆ თითქმის ყოველი მხრიდან სარცვა

გლეჯის ამბავი მოდის კერძო მკვლევლობა ხშირდება.

➤ მუშათა მოძრაობა დიწყო, დიდის სისწრაფით ედება მთელს რუსეთს. დეპუტატები წაეიდნენ გლეხთა დასამშვიდებლად.

➤ ჯარში მღელვარება ხშირდება ქ. პოლტავაში ელექის პოლკი გაფიცულა. ევპატორიაში კრონშტატში და მოსკოვის გარნიზონებში გაფაციცებით მოელოან დიდ მღელვარებას.

სამართველოს ამბავი

საქართველოს სამღვდლოების კრება დანიშნა 6 ივნისს.

➤ საქასამდინ უპასპორტო ქურდ-ბაკაცები შეიპყრეს, მკვლევლობას, კერძო თავდაცემის და შეუპოვრად გატარცვას ბოლო არელება.

➤ პროფესორ მარმა ქ. ანნის სიძველის შესახებ ისტორიულა ლექცია წაიკითხა.

➤ ტფილისის მარზის მარშლად ამოირჩიეს თავადი პავლე იოსებისძე თუმანოვი.

➤ სომეხთა და თათართა შეტაკება მოხდა შუშაში. თფილისშიაც მოხდა შეტაკება დამით სროლა იყო, მოკლულ-დაჭრილნი არიან.

საზრახვეთი

პრეზიდენტი ფალიერი დაბრუნდა პარიჟში. ბრისონი ამოირჩიეს დეპუტათა პრეზიდენტა, — პარიჟის ქალაქმა 50 ათასი ფრანგი გააგზავნა ვეზუვის დაზარალებულთა თვის, — გენერალ დესირიე პარიჟის ქალაქის სამხედრო გუბერნატორი გარდაიცვალა მის ადგილას დანიშნეს გენერალი დალსთენი.

➤ რენილდი სინდიკათთა წარმომადგენელი დანიშნული იქნა მაროკოში საფრანგეთის წარმომადგენლად.

ავსტრო-ჰუნგარია. — ვილგელმი ვენაში მობრძანდა 6 ს. დიდის დარბაზობით მიღებულ იქნა იმპერატორ ფრანჩისკე იოზეფისაგან. — იმპერატორი ვილგელმი საისტორიო კრებენთენის სასახლეს ინახულებს ქვემო ავსტრიას შოიელის თავად ვილშეკსი ინახულებს, შხინბრუნას სასახლეში დიდი სადილი გაუმართეს ვილგელმს.

იტალია ფრანგთა მსწავლელებს სადილი გაუმართეს სახელმწიფო სასახლეში.

➤ ინთერნაციონალური ქონფერენცია იქნება გამართული ანანარხისტოის წინააღმდეგ.

➤ შანბერენმა წარმოსთქვა სიტყვა მის შესახებ, რომ მამაველ გაზაფხურზე დაიწყება საზოგადო ამორჩევა.

➤ ინგლისის ჯავშნიანი ჯემები ინახულებენ ოთხს რუსეთის ზღვათა პორტებს და ორს გერმანიისას.

გერმანია — ისპანის და გერმანიის შუა მრეწველობის ხელ-შეკრულების შეთანხმება მოხდა.

➤ რეიხსტაგის მოწოდება ნოემბრისათვის გადიტოვა, მაგრამ სხვანი ამბობენ რომ იენისის ბოლოს იქმნებიან მოწვეულნი.

➤ იმპერატორი ვილგელი ვენიდგან დაბრუნებისა ხალ სასახლეში წაბძანდება პოსტდამში.

ისპანია — ანარხისტების წინააღმდეგ ხალხის ზიზღი თანდა თან იზრდება.

➤ მეფე და დედოფალი იქმნენ საყოველთაო სიმპათიის დამამსახურებელნი.

➤ მეფემ ალფონს XIII ამინისტია გამოაცხადა ამერიკაში გადასახლებულთათვის.

➤ მორეთმა წარუდგინა ალფონს XIII დემისიონი კაბინეტისა. მეფემ არ შეიწყნარა.

პორტუგალია

➤ ფინანსის მინისტრს განუაღლება თამბაქოზედ მანოპოლიის კანტრახტი.

➤ დეპუტათა ამორჩევა მოხდება აგვისტოს 12; ახალი სათათბირო დეპუტათა კრება შესდგება 29 სექტემბერში.

საბერძნეთი. — ოფიციალურად შეწყდა დიპლომატიური დამოკიდებულება საბერძნეთს და რუმინიის შუა. — დეპუტატთა პალატაში მინისტრმა სკენზესმა განმარტა მიზეზები უთანხმოებისა და აღნიშნა რომ დამნაშავე ყველაფერში რუმინია; რომელმაც უარი სთქვა რუსეთის ჩარევასა და სამედიატორო სასამართლოზედ და შემდეგ შეაეიწროა ბერძნები.

იტალია

მეფე ვიკტორ დამტკიცა პლანი ინტერნაციონალურ მეურნობის ინსტიტუტის ასაგებლად.

➤ მეფეს ბოძა გადაუგდეს, მაგრამ ვერა აენესრა, ბევრი ანარხისტები შეიპყრეს ამის თაობაზედ.

ამერიკის რესპუბლიკა

◆ შერთებული-მხარენი. სანფრანჩესკოში კლევ იძრა მიწა.

◆ უველა ანარტისტები იკრიფებიან ამერიკაში და ჩიკაგოში დიდი კრება მოხდება.

ფინანსება. — პრეზიდენტი კასტროს დიმიხის მისაღზლად მთელი მთავრობის დეპუტატები შეიკრიფნენ.

აზია

იაპონია. ტოკიოში შეთანხმდნენ ამერიკის შერთებული შტატების ელჩი და რუსეთის წარმომადგენელი.

◆ იაპონიამ დაიპყრო კორეა 2 დივიზიის ჯარით, გენერალ ლოსუნგის ბრძანებლობის ქვეშ.

◆ იაპონია დასტოვს მანჯურიის 20,000 კაცს.

საქართველოს სამღვდლოება

და რუსის ეგზარქოსები *)

(შეშვები)

„დავით-გარეჯის უდაბნოს გამგეობა მე მღმონაზონს ზოსიმეს ჩავებარე, პატიოსანი ყოფაქცევის კაცს დამონასტრის მეურნეობის გამგეობის კარგად მცოდნესაო. ვინიკობაა არხიმანდრიტმა ილარიონმა ვერ შესძლოს ოსეთის კომისიაში მეტად ძნელი სამსახური, მაშინ სად მიეცემა ადგილი, თუ კი მისი ადგილი სხვას მიეცემაო? ამიტომ იოსტისის წინამძღვრად დანიშნა მე სამართლიანად არ მიმაჩნიაო. ზოსიმე ძალიან კარგად უვლის უდაბნოს და ჩემს იქ ყოფნაში კრებულს არ უთხოვინია ჩემს მისი გადაყენებაო“. დოსითეოზი, ელეფთერიოვით, ერთი იმ ბედნიერთაგანი იყო, რომებელმაც გულ-მკერდი სამურად აიკრელა წითელ-ყვითელი **კავალერიებით** და გონება მაღალს მამულიშვილს იოსტისის რატომ არ დასწიხლავდა, ისედაც დაჩაგრულსა და დამკრებულსა. იოსტისი მოშორდა იქაურობას და გადავიდა თავის საყვარელ ვეჭინის ღვთაების ტაძარში და იქვე მიიკვალა 1822 წ. იქ ხომ მის მამა-პაპათა საშეღვე იყო. გაზაფხულზედ მომწრეთათვის მისი საფლავი სალოცველი იყო

*) იხილეთ ვარი ვარისა № 10.

აი რა წესი და ზნე შეიძინა საქართველოს სამღვდლოებამ და ეკლესიამ კანტორისა და ეგზარქოსობის წყალობით: უბრალო მამებლარი დეკანოზები, არხიმანდრიტები **კავალერიებისათვის** სულსა ჰყიდდნენ და თავის საშობლო ეკლესიისა და სამღვდლოების ინტერესებს უწმინდურის ფეხითა სთელავდნენ და აგინებდნენ (იხ. საქ. კატორისა 1816 წ. № 178.)

ლ) რუთველმა მთ. ეპისკოპოსმა სტეფანემ ურაპორტა კანტორას 1817 წ. ნოემბრის 3: „ შაბათს მზის ჩასვლის გამს ორი (მწყემსი) ბიკი მოიტაცესო საქონლიდამ უცნაურმა მტრებმა (რა თქმა უნდა, ლეკებმა), მარტყოფის ბოლოს, საცხენისის ხევსა და ქიაფერას შუა, **ფრენუა-შვილის** ლაზარეს ბიკი **სიხარული** 10 წლისა და წიწილას შვილი ისაკა 12 წ. მღვეარი გამოუდგა, მაგრამ ვერ მოეწინენ, ყარაქალის ფონს გასულიყენენ — გაესწროთ.“ კანტორამ გუბერნატორს სტალს აცნობა 10 ნოემბერს (№ 652). გუბერნატორმა პასუხად მოსწერა 27 ნოემბერს (№ 4666): „**ბორჩალოს პრისტავს მივწერე, მაგრამ არსადა სჩანანო; ეჭვი ყარაქალელებზეა, ას საყენზე ფონს გასულანო**“. ასე გააბეს მიწერ-მწერა და მითომ თავისი მოვალეობა შეასრულეს კანტორამ და გუბერნატორმა! ქალაქი ჯარით იყო საყესე, ვაზიანში საყარაულო იყო და შუადღისას სოფლის ბოლოდგან საცოდავ მწყემს ბიკებს იტაცებენ ლეკები! ამისთანა გაკვირებაში მძლეთა-მძღე თეოფილაქტე უძღლური, ლაჩარი იყო! ის ბიკები საეკლესიო გლეხნი იყვნენ, საეკლესიო გლეხთაგან სასტიკად ითხოვდა გულუხისა და სხ. ხარჯების შემოტანას და მათი მოვლა პატრონობა კი ფეხებზედ ეკიდა.... ძველად კათოლიკოზები აფრენდენ ხოლმე ოთხივ კუთხივ მღვეარს და თუ ძალით ვერ დაიბრუნებდნენ ტყვეებსა, მაშინ **სატყვეო თანხით** დაიხსნიდნენ და ეკლესიის მამულს ბეთალმანად არაქცევდნენ. ასე იცოდა საყუთარმა თავმა, ისე იცის ძალიად მაცხოვრე სხვა თავმა... (იხ. საქმე კანტორისა 1814 წ. № 393).

მ) თეოფილაქტე ეგზარქოსი სადაც კი შემოსავლიანს ადგილს, ან ხელის მასათობ სა-

ქმეს დაინახაუდა, მაშინვე თავის მგეგობარს რუს-ს-მოხელეს ჩაბარებდა ხოლმე; იოანე ეგზარ-ხოსიკ ამ გზას დაადგა, რასაკვირველია. ამის-თანა მთავრობის ხელში არა ერთმა და ორმა ახალმა უსამართლობამ იჩინა თავი. ქართველს არ შეეძლო კინტი დაეძრა რუსის წინააღ-მდეგ; მაგრამ თუ ვინმე ქართველი ვერ მოიგურ-ებდა რომელსამე რუსს მოხელეს-ვინ იმისი ბრალს. რასაც რუსი მოახსენებდა ეგზარხოსს — ქე-შმარიტება იყო, ქართველი კაცი ყოველთვის მტყუანი იყო; ქართველის თვალში ბეწვი ტი-ვის ხეთ ეჩვენებოდათ ეგზარხოსებს, ხოლო რუსის თვალში ტივის ხეს სრულებით ვერ ამ-ცნევდნენ. გაჩნდა მონასტრების და ეკლესი-ების უსირცხვილოდ ცარცვა-აკლება, საშინელი შექრთამეობა. ძველად ქრთამი შრომის ფასი, გასამრჯელო იყო, როცა ერთი მეორეს თავის ხარჯით და გარჯით ისეთს საქმეს გაუკეთებდა, რის გაკეთებაც ქრთამის მიმცემს არ შეეძლო რუსული „ვზიატკა“ ჩვენში არ არსებობდა. ეგ დიდი სიკეთე რუსის მოხელეებმა ასწავლეს პირველად ჩვენ ქართველ **კანცელიარისტებს-სტრაიაჩებს** და, სწორე უნდა მოგახსენოთ, სახელოვნადაც შეითვისეს ეგ ახალი ხერხი სა-ბრალლო აღაღ-მართალი ხალხის გასაყვეფავად. რექტორმა ირინეიმ ჩაიბარა შიო მღვიმის, ქვა-თახევის და დარიის მონასტრები 1821 წ. ათა-ნასი რექტორისაგან. როცა ირინეიმ ჩააბარა რექტორს ევგენის ეგ მონასტრები 1824 წ. დეკემბრის 23 მონასტრების ქონებას სიებით აკლდა: 1 ვერცხლის ბარძიმი, 1 ვერცხლის კოვზი, 27 ხატი, 3 დაფარნა, 1 დაბადება, 2 წიგნი ანდრია სალოსისა, ერთი ტილოს ოდიკი, საბუხრეები; სპარსულ ოქრომკედის ფარჩის ფილონზე აკლდა 122 შუათანა მარ-გალიტი; ოქრომკედით და მარგალიტით ნა-კერს ენჭერზედ (მაცხოვრის გვირგვინში) აკ-ლდა 15 მსხვილი მარგალიტი; ერთი ვერც-ხლის ვარსკვლავის მიგიერ უბრალო თითბრის ვარსკვლავი და იყო; ოქრომკედიან ძვირფასის ცისფერი დიბის ფილონის მიგიერ რაღაც იის-ფერი გახუნებული ფილონადა იყო. ამ დანა-ჯლის ხელს აწერენ: 1824 წ. რუსის არხიმა-ნდრიტიები — რექტორები ირინეი და ევგენი, ხოლო 1833 წ. რექტორი სერგი და არხიმა-ნდრიტი ანტონი — რუსები.

(შედეგი იქნება)

ჯ ა მ ა ხ ე თ ი

(ეთიგრაფიული წერილი. შემდეგ^{*)})

ოდა და ახორი კარი გამოდის ოთახში. დერეფანშივე გამოდის სხვა თვლების კარები მარანისა და სათონესი. პირველში ინახვენ ხორაგეულობასა, ხოლო მეორეში ქბილსა, რა-საც იქვე ზელენ და აცხოვენ ჰურსა. დერეფნის კარი ხშირათ კარაპანში (წა-მოხურულია) გადის, რომელიც კალოზედაა წამომდგარი.

დერეფანში წყლით კოკებს ნახავთ დად-გმულს სასმელითა. კარაპანში სახმარ აჯათებს (გასაყარში შენახულსა).

კალო-საბძლებს ბანზედაა (ახლოს) გაშე-ნებული, საიდგანაც გაღეწილ ბზეს (თავის დროზედ) არნადებათ მოსწევენ, იქვე ახლოს და ერდობიდან ჰყრიან საბძლებში შესანა-ხათ. საბძლებშივე თივას ინახვენ ზამთრისთვის.

იქვე, ან შორი-ახლოს საცხერეებსაც ნა-ხავთ, სადაც ზამთარში თხა-ცხვარს ჰრევენ შიგ სადგომათა. საცხერის გარეთ, სანახვე-ლებია, სადაც მთელი ზამთრის განმავლობა-ში საქონლის განაგავს აგროებენ და აქედან გაზაფხულზედ ყანებში გააქვთ მხოლოდ განა-პირელებსა, რომელნიც შეშას შოულობენ სა-წვავათ, და სადაც ვერ უღებებიან იმას, იქ წივით ამზადებენ ამ ნეხვს დასაწვავათა.

ჯავახელები სტუმარს, მაშინათვე ფიჩხს ან ქეჩას გაუგებენ ბუხართან; დაუდებენ ბალიშს და ზედ დააჯდენენ. სტუმარს მამაკაცი, მე-ტადრე წვერთეთრი უმასპინძლდება, როგოც კამაში, ისე ლაპარაკში.

ქალები არ ეჩვენებიან, სტუმართა თუ არ სამსახურში, ე. ი. სადილ-ვახშმის დროს, რო-დესაც უწყობენ სუფრას სტუმარსა და ან ხელ-პირს აბანინებს. ყოველ უწინარეს კი ქალმა (ახალგაზღებმა) სტუმარს ხელზე უნდა მოუკითხონ. ასევე მოკითხებენ, როდესაც სასმელს მიიღებს სტუმარი. მომკითხველი ლე-ჩაქოსანი, მარცხენა ხელს გულზედ მიიღებს და მარჯვენას მოწიწებით გაუწვდის სტუმარს ხელისაკენ მოსაკითხითა. მომკითხველს, სტუ-მარი მადლობას უხდის. ქალს მოკითხვა სტუმ-

*) ჯვარი ვაჟისა № 10.

რის წინაშე ნიშნავს გამკითხავს, თუ როგორ
კარგათ აქვს, და ან თუ სმას შემდეგა -გაა-
შოსო-. ქალებისათვის მოკითხვა ლაპარაკის
მაგიერია, რადგანაც ლაპარაკი დაშლილი აქვთ
მამაკაცების წინაშე.

ოჯახში რძლები დედამთილ-მამამთილის
შეკითხვაზე პასუხს თარჯიმანის შემწეობით აძ-
ლევენ. თარჯიმანობენ 7—8 წლის ბავშვები.
მაზლებთანაც ასეთი თარჯიმანული ლაპარაკი
უხდებათ საბრალო დამუნჯებულ ჯავახ რძლებს.

ჯავახები პურს აცხობენ თონეში. თხლად
გამონამცხვარს ლაფათა პურს ეძახიან, რვეალს
— „კაკალა პურს“, გძელს — „ლოლოს“. ლავა-
ში კიდეც სხვაა. კეცში გამონამცხვარს „ფუნ-
თუშს“ ეძახიან.

ჯავახელები ნამცხვრებსაც აცხობენ. ხსნილ-
ში ერბოთი და მარხვაში ზეთით. აი ჯავახური
ნამცხვარი. ყათმარი, ქადა, ნაზუქი, ლუხმა,
ბაში, ლალაკენეს საკმელები. ჯავახეთში ამ-
ზადებენ შემდეგ ნაირ საკმელებს: მახობი, ფუშ-
რუკი, ლობიო შეკამანდი, კორკოტი შეკა-
მანდი, სქელი კორკოტი, ფლაფი, კართოფი-
ლის იანი, მოშუშული ლობიო და კართოფი-
ლი, ხაფიწი, ფაფა, ყაურუშომა, ქაში, მოხ-
რაკული ქათამი და ბატი, თევზი საციოთი,
შწვადი, კიმბური. რძიდან ნამზადი: მაწონი,
ნალები, ფალის პარი, დო, ან მელატი, საქო
და გულამბა.

ვეჯი მოწყობილობა ჯავახეთის სახლისა:
კურკლებიდან: ქვაბი, ტაშტი, თუნგი, ტაფა,
საინი, ლანგარი, კარდალი, სინი (სპილენძი-
საა), ქოთანნი, ჯამი, კეცი, თონე, ჭური, დერგი,
დოქი (თიხისაა); ქარსანგი, ტაბაკი, გობი,
კასრი, კოდი, 1/2 კოდი, 1/2 კოდი, 1/3 კო-
დი — კოში, კუტალი, კოკა, (ხისაა); საცერი,
სამტკიცავი, ცხრილი, ცხავი (პურის საკეთე-
ბელია); ასტამი, ხელეჩო, სატეხი, ცული,
ხრხი, (იარალი); ორთითი, ფიწალი, არნადი,
ბჯისკეტი, უღელი, ტაბიკი, აპეური, უღლი,
ატო, ცელი, ქასრი, გოდორი, კალათი, ლას-
ტი, ხერძალი, ჯვალი, ხერჯი, ჩათო, საბელი,
ურემი. საფენიდან: ფიჩვი, ქეჩა, კილობი, ხა-
ლიჩა, სასწორი (ხისაა) ნუკი 1/8.

ჯავახთა საბჭაკე:
ჯავახი შუა ტანის და შევგრემანი ხალხია.

მათ დაღვრემილ სახეზედ პევრს სიდაჩაგრუ-
ლეს და ბედშაობას ამოიკითხაეთ. სწორეთ
ნამდელი პირა, ჯავახეთის მოყენებული ჰქო-
ნდათ ლეკთა, სპარსთა და ოსმალთა დევნუ-
ლობისა და აწოკება განადგურებისაგან და
ეს წინაპართა სიჩაგრე დაბეჩეება, თითქოს
ინსტიკტიურათ გადმოედეთ აწინდელ მათ
ჩამომავალსო.

ლიალ, ჯავახი დაბეჩეებული და სიმხდა-
ლით დაძაბუნებული ხალხია. მტერს იგი სა-
მაგიეროს სრულიად ვერ უხდის, სიავის მეო-
ხებისათვის და ბატონს და მისი მოურავის
ბძანებას წარბს ვერ შეუხრის. პირიქით მათ-
გან მიყენებული შეურაცყოფა და სახრე მა-
თრახით გამოტყება დი კრძალვით უნდა მო-
თიმინოს და სამაგიეროთ კრინტიც ვერ უნდა
დაძრას, რომ გაიგოს, თუ რისთვის უცხელე-
ბენ და უქრელებენ გვერდებსა!

ასეთივე ყურმოკრილი მონაა დაბეჩეებუ-
ლი ჯავახი მამასახლისის და საზოგადოთ კა-
კარდოსანთ უსინდისო განაჩენის ქვეშ დამო-
ნაევებისა ჯავახს თავისი უსაზღვრო მონობას
უღლის ქედის ქვეშ, თავმოყვარეობას იმდენათ
აშორებულთა რომ ის, ედარება ამ მხრივ, ცხო-
ველსა, რომ თვით თავის სახლებიც კი საწ-
ყლათ ცხოვრობს... ჰქონდეს, არ ჰქონდეს
მისთვის სულ ერთია; არც სიმდიდრით იუმ-
ჯობესებს იგი თავის ცხოვრებასა, რომ ლა-
რიბი მეზობლისაგან რითიმე გაირჩეოდეს. ის
მანაც ქერის პურს არ ექრება, როგორც შე-
უძლო მისი მეზობელი, მანაც ისეთსავე დაგ-
ლეჯილის ტანისამოსით დაიარება, მანაც ისე-
თსავე კირსა და და ლხინს გაჩვენებს თავის
ცხოვრებაში, სახლის მოწყობილობაც ისეთივე
აქვს და სხ. მდიდარი გაირჩევა ლარიბებისაგან
ჯავახეთში, მხოლოდ იმათი, რომ მდიდარს
მეტე მიწა აქვს, ლარიბზე უფრო, თხა-ცხვარი
მრავალი ჰყავს, ძროხა ხარი ბევრი და სხ.
შემდებულ ჯავახს უცხო ადგილ ხარზით მო-
კლება, ის ქედს არ მოუხრის უთავმოყვარე-
ობას და ისევე მათხოვრობას დაიწყებს, რო-
გორც ლარიბი. სირცხვილი მას სრულიად არ
აწუხებს.. მათხოვრობაში არ აწუხებს, იმი-
ტომ რომ მას თავმოყვარეობა არ აქვს.

უფისება ჯავახეთისა;

ჯავახეთი ღეთის მავედრებელი ხალხია და წირვა ღოცვის მოყვარული. მეტადრე კათოლიკენი, სძულთ ბოროტი და ავ-კაცობა; ამისთვის ქურდობა არაა აქეთ ისე გახორციელებული, როგორც დასავლეთ საქართველოში და სხვაგან მთაში. კაცს კვლაც ნაკლებია. და თუ ასეთი შემთხვევები ხდება ზოგჯერ დახშირებითაც კი, ეს მხოლოდ უფრო თარაქამებში და სომხებში.

ერთიმეორეს ნდობა გაძლიერებულია ჯავახეთში, მეტადრე გასესხებაში, ბევრჯელ გამსესხებელი ვექსილსაც არ იღებს მოვალისაგან, სიტყვით ენდობა და თვეში თუმანში, ორ შაურზე მეტსაც არ გადაახდევინებს. ჯავახეთში ვექსილს მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ არ დააიწყდეთ ფულის გაცემის რიცხვის და ვადა.

ჯავახები ძალიან უსუფთაოდ ცხოვრობენ; მათ უსუფთაო ცხოვრებას ხელს დიდათ უწყობს საქონელთა ერთად ცხოვრება. კამა-სმა-შიაც ემჩმევათ უსუფთაობა. საცვალს, ხშირათ, ისე დაგლეჯს ჯავახი, რომ ერთხელ თუ ედირსა გარეცხა დიდა. გარეცხის დროსაც საცვალი მეორე არ აქვს, რომ გაქუქყიანებულის ნაცვლათ ჩაიცვას, ის ერთი ხელი საცვალი აქვს. გარეცხის ხანს შარვალს და რუბენს უსაცვლოთ იცვამს დედოშოაილა ტანზე თვით მდიდრებშიაც ასეთივე ადათია. იქ იშვიათია, რომ ორი ხელი საცვალი ჰქონდეს ჯავახს ის, ან სხვა ქალაქში. გაზდილი უნდა იყოს, ან და კრტაოდენ ნასწავლი, სოფლის მასწავლებელი, მწერალი და სხ.

თუმცა ჰაეა ხელი და მარგია ჯავახეთში რის გამოც ციებ-ცხელებას, მუცელ-კეთილს და მასთან მაენე კირს ნებას აცილებული არიან ჯავახები, რაიცა კაობიან ადგილებში მკვიდრთ უსპობს სიცოცხლესა, მაგრამ ხსენებული უსუფთაობა ჯავახებისა საოფლე (ტიფი) რა და კეთროვნებასა ამეფებს, თანაც ბევრი ესალმებიან სიცოცხლეს. წარმოიდგინეთ უსუფთაობა საქონელსაც უჩენს კირსა ტაბასსა და სხ. რის გამოც იხოცებიან. კლე-ქი კი ვერ შეუძლებს ჯავახეთში.

ჯავახეთ შორის ნასწავლი პირები ძალიან

მცირეა, და ისიც დაბალი სწავლით, საშუალო და უმაღლესი სწავლით ხომ სანთლით საძებარია. მე ამ სწავლით კი არაინ მეგულება ჯავახეთში. ჯავახ ნასწავლთა შორის შესანიშნავი იყო დრამატურგი, განსვენებული იაკობ იოსების სე ლაზრიშვილი, რომელმანც ნ პრესა დასწერა და მათ შორის კი „მტარვალი“, რომელიც რამდენიმე ჯერ წარმოდელი იქნა თბილისში ავტორისავე სიცოცხლეში. განსვენებული ს. ვარგაფიდან იყო კათოლიკე. იმის ვრცელ ბიოგრაფიას მალე დავეუკადეთ. ათი წელიწადი იქნება სწორეთ ამ წლის ქრისტეშობისთვეში, რაც გარდაიცვალა იგი.

ჯავახი იცვამს სპარსულეზ. სქელსა და ნაოქიანს ჩოხას იცვამს უმოკლესს ყუიმაკებიან ახალბოხედ. წელეზხედ შალისავე სქელს; სარტყელს ირტყემენ, ახალგაზდანი დაფულულს ტყავის აბზინდიანს ყაიშს. შარვალი მოკლე და განიერი აცვიათ, რომლის შინა კუნჭულს წინდა-პაიჭში ჩატანებული აქეთ. ფეხზედ ქალამანი აცვიათ, თავზედ კი მთელი ცხვრის ტყავიანი ბობოლა უხელოვნო ქუდი აძვეთ. სიცოცხეში (შოთა რუსთაველისებური) მოსახურავი ასხიათ გარეთგან. მოხუცთ კი ცხვრის ტყავებიდან შეკერილი ულაზათო ქურქი.

ამ უქანასკნელ დროს ახალგაზდებმა, რომელნიც იმერეთ-ქარლსა დადიან საეაქროთ, ან სამუშაო, იმათ კოტათი შეიცვალეს ტანი-სამოსი. ზოგმა იმერული ყაბალახი დაიდვა თავზედ უშნო ქუდის მაგიერ და ზოგმა კი ეს შხიიანს იმერულს ქუდზედ შეცვალა. ჩოხა-ახალუხიც იმერულათ შეიცვალეს და ქალამანი ჩუსტებზედ.

შემდეგი იქნება.

რედაქტორ-გამაომცემელა

მ. კ. დ. მულაშაშვილი-ქაჩაძე

სტამბა „ნიდელნი“ (მ. დ. კონაძის)

ნიკოლოზის ქუჩა, მილოვის სახლი

